საერთაშორისო, დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული, მიმდინარე პროექტები

მომზადებულია დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცენტრალური აპარატის მიერ

1. კავკასიაში დაცული ტერიტორიების ხელშეწყობის პროგრამა - საქართველო

დონორი ორგანიზაცია:	გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ)/ გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)
განმახორციელებელი ორგანო:	საკონსულტაციო ჯგუფი GFA
გრანტის მოცულობა:	EUR 8 250 000
პროექტის განხორციელების ვადა:	2014-2019 წწ

პროექტის აღწერა:
პროექტი ითვალისწინებს ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის განვითარებას, ყაზბეგისა და ალგეთის ეროვნული პარკების გაფართოება-განვითარებას, კინტრიშის დაცული ტერიტორიების განვითარებას და რეკატეგორიზაციას. პროექტი ასევე ითვალისწინებს წინასწარ შერჩეულ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსებისა და დაცული ტერიტორიების მართვის და მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2. აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება

დონორი ორგანიზაცია:	გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF)/UNDP
განმახორციელებელი ორგანო:	UNDP
გრანტის მოცულობა:	USD 1 323 636
პროექტის განხორციელების ვადა:	2014-2017 წწ

პროექტის აღწერა:
პროექტი გულისხმობს საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დაცული ტერიტორიების მართვის დახვეწას, ბიოგეოგრაფიული საზღვრების გაფართოებასა და ურთიერკავშირის განმტკიცებას უნიკალური კოლხური ტყეების (ზომიერად ნოტიო ტყეების) უკეთ დასაცავად. პროექტი დაეხმარება მთავრობას, აამოქმედოს

ოფიციალურად გაცხადებული მაჭახელას ეროვნული პარკი, რომელიც შეკრავს კოლხური ტყეების შესანარჩუნებლად შექმნილი დაცული ტერიტორიების 4 ერთეულისგან შემდგარ ჯაჭვს (კინტრიში, მტირალა და მაჭახელა საქართველოში და ჯამილი თურქეთში). გარდა ამისა, პროექტი ხელს შეუწყობს აჭარის დაცული ტერიტორიების მართვის დახვეწასა და თურქეთის ჯამილის ნაკრძალთან ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარებას; თავის მხრივ პროექტი დაეხმარება დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების ფინანსური დაგეგმვის დახვეწაში, უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ ჩაბმას დაცული ტერიტორიების მართვაში და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური პირობების უწყვეტ გაუმჯობესებას.

3. ეროზიის ინტეგრირებული კონტროლის ღონისძიებები სამხრეთ კავკასიაში

დონორი ორგანიზაცია:	BMZ/GIZ
განმახორციელებელი ორგანო:	Eco Consulting Group
გრანტის მოცულობა:	EUR 2 000 000
პროექტის განხორციელების ვადა:	2014-2018 წწ

პროექტის აღწერა:
პროექტი ითვალისწინებს სამხრეთ კავკასიის მაღალი რისკის მქონე მთიან რეგიონებში, ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართულობით ეროზიის ინტეგრირებული კონტროლის ღონისძიებების გამოყენებას და ეროვნულ გეგმებსა და რეგულაციებში გათვალისწინებას.

4. ტრადიცული მეურნეობის ხელშეწყობა თუშეთში

დონორი ორგანიზაცია:	ჩეხეთის განვითარების სააგენტო
განმახორციელებელი ორგანო:	ახმეტის მუნიციპალიტეტი/თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია
გრანტის მოცულობა:	EUR 290 909
პროექტის განხორციელების ვადა:	2014-2017 წწ

პროექტის აღწერა:
პროექტი ითვალისწინებს მატყლის წარმოების განვითარების ხელშეწყობას და ბაზრის შესწავლას. პროექტის ფარგლებში სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს კარტოფილის მეურნეობის განვითარებაც.

5. მღვიმეების მონიტორინგისა და სპელეოთერაპიის განვითარება იმერეთის მღვიმეების დაცულ ტერიტორიებზე

დონორი ორგანიზაცია:	ჩეხეთის განვითარების სააგენტო
განმახორციელებელი ორგანო:	ჩეხეთის მღვიმეთა ასოციაცია
გრანტის მოცულობა:	EUR 150 000
პროექტის განხორციელების ვადა:	2014-2017 წწ

პროექტის აღწერა:
პროექტი გულისხმობს იმერეთის რეგიონის მღვიმეების შეფასებას და შესწავლას სპელეოთერაპიისათვის არსებული პოტენციალის გამოყენების ხელშეწყობის მიზნით.

6. ტყის ინვენტარიზაცია და ტყის მდგრადი მართვა თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე

დონორი ორგანიზაცია:	ჩეხეთის განვითარების სააგენტო
განმახორციელებელი ორგანო:	ბრნოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
გრანტის მოცულობა:	EUR 150 000
პროექტის განხორციელების ვადა:	2015-2017 წწ

პროექტის აღწერა:
პროექტი გულისხმობს თუშეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გაუმჯობესებას ტყის მართვის გეგმის შემუშავების გზით, რაც ეფუძნება ტყის ინვენტარიზაციას.

7. ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნო სამხერთ კავკასიაში (IIIფაზა)

დონორი ორგანიზაცია:	გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ)/ გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)
განმახორციელებელი ორგანო:	ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნო (TJS)
გრანტის მოცულობა:	EUR 2 900 000
პროექტის განხორციელების ვადა:	2015-2019 წწ

პროექტის აღწერა:
პროექტის ფარგლებში ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნო (TJS) დახმარებას უწევს საქართველოს რეგიონალური თანამშრომლობის გაუმჯობესებასა და ბუნების კონსერვაციის სექტორის განვითარება/ჰარმონიზებაში.პროექტის მთავარი მიზანია ეკორეგიონალური გეგმის შემდგომი განვითრება და მისი განხორციელების სტატუსის გაუმჯობესება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში.

8. რაჭისა და ერუშეთის გეგმარებითი დაცული ტერიტორიების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და კანონპროექტის შემუშავება

დონორი ორგანიზაცია:	გერმანიის მთავრობა
განმახორციელებელი ორგანო:	WWF კავკასიის ოფისი
გრანტის მოცულობა:	EUR 400 000
პროექტის განხორციელების ვადა:	2016-2018 წწ

პროექტის აღწერა:
პროექტის ითვალისწინებს გეგმარებითი დაცული ტერიტორიების არეალების განსაზღვრას და შესაბამისი კანონპროექტების მომზადებას.

9. ზუთხის კონსერვაციის პროექტი მდ. რიონში

დონორი ორგანიზაცია: FFI International

განმახორციელებელი ორგანო: FFI International

გრანტის მოცულობა: N/A

პროექტის განხორციელების ვადა: 2016-2018 წწ

პროექტის აღწერა:
პროექტი ითვალისწინებს ზუთხის კონსერვაციის სტრატეგიის შემუშავებას.

10. დაცული ტეროტორიების სისტემის კანონის განახლება

დონორი ორგანიზაცია: MBZ/MBU/GIZ

განმახორციელებელი ორგანო: GIZ

გრანტის მოცულობა: N/A

პროექტის განხორციელების ვადა: 2017-2018 წწ

პროექტის აღწერა:
პროექტი ითვალისწინებს 1996 წელს მიღებული დაცული ტერიტორიების სისტემის კანონის განახლებას ასოცირების შეთანხმების და IUCN-ის ახალი სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

11. მცირე საველე ინფრასტრუქტურის მოწყობა საბადურის ტყეში

დონორი ორგანიზაცია: ესტონეთის საელჩო

განმახორციელებელი ორგანო: არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ბორჯომი"

გრანტის მოცულობა: GEL 46 000

პროექტის განხორციელების ვადა: 2017

პროექტის აღწერა:
პროექტი ითვალისწინებს მცირე საველე/ეკო-ტურისტული ინფრასტუქტურის მოწყობას საბადურის ტყეში.

12. საქართველოში პირველი ინკლუზიური ეკო-ბანაკის მოწყობა ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე

დონორი ორგანიზაცია: ფონდი "სიცოცხლის ხე"

განმახორციელებელი ორგანო: არასამთავრობო ორგანიზაცია "შესაძლებლობების სივრცე"

გრანტის მოცულობა: GEL 50 000

პროექტის განხორციელების ვადა: 2017

პროექტის აღწერა:
პროექტი ითვალისწინებს საქართველოში პირველი ინკლუზიური თანამედროვე სტანდარტების ეკო-ბანაკის მოწყობას ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე

13. თანამშრომლობა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის სფეროში ბავარიის ტყეების ეროვნულ პარკთან

დონორი ორგანიზაცია: ბავარიის ტყეების ეროვნული პარკი

განმახორციელებელი ორგანო: ბავარიის ტყეების ეროვნული პარკი

გრანტის მოცულობა: N/A

პროექტის განხორციელების ვადა: 2017

პროექტის აღწერა:
პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს დაცულ ტერიტროებისთვის გარკვეული აღჭურვილობის გადმოცემა და გემრანელი ექსპერტების ვიზიტი.

14. დემიდოვის თავშესაფრის აღჭურვა ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე

დონორი ორგანიზაცია: US embassy

განმახორციელებელი ორგანო: ლაგოდეხის მეგობართა ასოციაცია

გრანტის მოცულობა: GEL 5 000

პროექტის განხორციელების ვადა: 2016-2017წწ

პროექტის აღწერა:
პროექტის ფარგლებში ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიების უმაღლეს წერტილზე არსებული დემიდოვის თავშესაფარი აღიჭურვება მზის პანელებით და მეხამრიდით.

15. კოლხეთის ეროვნული პარკის ნორჩი ელჩები

დონორი ორგანიზაცია: US embassy

განმახორციელებელი ორგანო: კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია

გრანტის მოცულობა: USD 15 830

პროექტის განხორციელების ვადა: 2017-2018წწ

პროექტის აღწერა:

პროექტის ფარგლებში შეირჩევა 14-17 წლის ასაკის 20 მოსწავლე, რომლებსაც ქართველი და უცხოელი ექსპერტების მიერ ჩაუტარდებათ ეკო-ლექციები, ეკო-გაკვეთილები, საველე გასვლები. ისინი მონაწილეობას მიიღებენ გამწვანებისა და დასუფთავების აქციებში, ფრინველთა დარგოლვაში, თავად ჩამოაყალიბებენ 3 ეკო კლუბს კეპ-ის მიმდებარე სოფლებში, ადგილობრივი ტელევიზიით (მე-9 ტალღა) მოამზადებენ 4 სატელევიზიო გადაცემას გარემოსდაცვით თემაზე, ასევე ისწავლიან ეკო პროექტების მომზადებას (ჩაუტარდებათ ტრენინგი პროექტების შექმნასა და მართვაში). პროექტი ითვალისწინებს 3 საუკეთესო ეკო პროექტის დაფინანსებას, რომლებსაც მოსწავლეები სკოლებში განახორციელებენ.

16. კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები

დონორი ორგანიზაცია: BMUB

განმახორციელებელი ორგანო: ზუკოვის ფონდი

გრანტის მოცულობა: EUR 100 000

პროექტის განხორციელების ვადა: 2017

პროექტის აღწერა:
პროექტი ითვალისწინებს კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარებას შემდგომში მსოფლიო მემკვიდრეობის კანდიდატ საიტად წარდგენის მიზნით.

17. საგრანტო ხელშეკრულება - სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელთა დაზღვევა (ტერიტორიული ადმინისტრაციები)

დონორი ორგანიზაცია: კავკასიის ბუნების ფონდი (CNF)

განმახორციელებელი ორგანო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

გრანტის მოცულობა: EUR 30 000

პროექტის განხორციელების ვადა: 2017

პროექტის აღწერა:

პროექტი გულისხმობს ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომლების დაზღვევით უზრუნველყოფას.

18. საგრანტო ხელშეკრულებები ტერიტორიული ადმინისტრაციების გაძლიერებისთვის

დონორი ორგანიზაცია:	კავკასიის ბუნების ფონდი (CNF)	
განმახორციელებელი ორგანო:	დაცული ტერიტორიების სააგენტო	
გრანტის მოცულობა:	ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების განახლებული საგრანტო ხელშეკრულება	270 000 EUR
	თუშეთის დაცული ტერიტორიების განახლებული საგრანტო ხელშეკრულება	270 000 EUR
	მტირალას ეროვნული პარკის განახლებული საგრანტო ხელშეკრულება	240 000 EUR
	ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების განახლებული საგრანტო ხელშეკრულება	270 000 EUR
	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის განახლებული საგრანტო ხელშეკრულება	400 000 EUR
	ჯავახეთის დაცული ტერიტორიების საგრანტო ხელშეკრულება	90 000 EUR
	ყაზბეგის ეროვნული პარკის საგრანტო ხელშეკრულება	50 000 EUR

ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის საგრანტო ხელშეკრულება	32 500 EUR
კინტრიშის დაცული ტერიტორიების საგრანტო ხელშეკრულება	45 000 EUR
ალგეთის ეროვნული პარკის საგრანტო ხელშეკრულება	60 000 EUR

პროექტის განხორციელების ვადა:

2015, 2016, 2017, 2018 წლები

პროექტის აღწერა:

პროექტი გულისხმობს 10 ტერიტორიული ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის სახელფასო დანამატის გაცემას, შენობა-ნაგებობების აღდგენის, მოვლა-შენახვისა და მიმდინარე ხარჯების თანადაფინანსებას, აღჭურვილობისა და ავტოპარკის განახლებას, საკვანძო სახეობაზე ორიენტირებული მონიტორინგის სისტემის შექმნას.